სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

დეკემბერი №24

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
*registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009*

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / Table of contents

oficialuri dokumentebi / Formal documents

oficialuri dokumentebi ---------- 5-52

situaciuri saxelmZRvaneloebi / **Situational manuals** ------ 53-56

gadasaxadebi #24, 2018

GADASAKHADEBI #24, 2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 06.06.2005, მუხ. 175) მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომისია ყოველწლიურად ამზადებს თავისი საქმიანობის ანგარიშს და ატარებს თავისი ხარჯებისა და საბუღალტრო ანგარიშების ფინანსურ აუდიტს მოქმედი წესების შესაბამისად. საქართველოს პარლამენტს უფლება აქვს, გადაწყვიტოს კომისიის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების აუდიტის ჩატარება, რომელიც ხორციელდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით შერჩეული საერთაშორისოდ აღიარებული აუდიტორის მიერ. ამ მუხლით გათვალისწინებული ფინანსური საქმიანობის შესასწავლად შერჩეული აუდიტორის საკომპენსაციო სახსრებს გაიღებს კომისია.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 6 დეკემბერი 2018 წ.

N3887-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №56, 28.12.2005, მუხ. 433) მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პარლამენტის წევრის კომპენსაცია ენიშნება პირს 65 წლის ასაკის მიღწევისას ან არანაკლებ 25 წლის შრომის საერთო სტაჟის შემთხვევაში, თუ იგი საპარლამენტო ვადის არანაკლებ 6 თვისა იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და მისი უფლებამოსილება ვადამდე არ შეწყვეტილა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება საქართველოს პარლამენტის წევრზე, რომელსაც უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების გამო, თუ იგი ამ თანამდებობაზე დანიშნა საქართველოს პრეზიდენტმა, აირჩია საქართველოს პარლამენტმა ანდა დაინიშნა საქართველოს პარლამენტის თანხმობით ან დაინიშნა საჯარო სამსახურში შეუთავსებელ თანამდებობაზე. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება აგრეთვე საქართველოს პარლამენტის წევრზე, რომელსაც უფლებამოსილება შეუწყდა ავადმყოფობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, პირადი განცხადების საფუძველზე. აღნიშნულ პირებს კომპენსაციები ენიშნებათ ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 6 დეკემბერი 2018 წ.

N3883-რს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №33, 31 ივლისი, 1997, გვ. 20) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-6 მუხლის**:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომისია შედგება 5 წევრისაგან. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს მთავრობის წარდგინებით კომისიის წევრთა კანდიდატურებს ასარჩევად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, რომელიც კომისიის წევრებს ირჩევს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით.“;

ბ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. კომისიის წევრს წევრობის ვადის გასვლის შემდეგ უფლებამოსილება ავტომატურად ერთჯერადად უგრძელდება მანამ, სანამ იგივე ან სხვა პირი არჩეული არ იქნება კომისიის წევრად საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით, მაგრამ არაუმეტეს 3 თვისა.“.

2. **მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. კომისიის წევრი თანამდებობიდან თავისუფლდება მხოლოდ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებში. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომისიის წევრის გადაყენების თაობაზე გადაწყვეტილებას საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით იღებს საქართველოს პარლამენტი, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება ავტომატურად, შესაბამისი იურიდიული ფაქტის დადგომისთანავე.“.

3. **მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს მთავრობის წარდგინებით საქართველოს პარლამენტს კომისიის თავმჯდომარედ ასარჩევად წარუდგენს კომისიის ერთ-ერთი წევრის კანდიდატურას. საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის წარმოდგენილ კანდიდატურას და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს, გადადგეს ამ თანამდებობიდან, მაგრამ დარჩეს კომისიის წევრად დარჩენილი ვადით. კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია თავისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის რომელიმე წევრს დააკისროს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების დღის მომდევნო დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 6 დეკემბერი 2018 წ.

N3888-**რს**

საქართველოს კანონი

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997, გვ. 86) მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. საქართველოს პარლამენტის წევრზე ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით სხვა რამ არ არის დადგენილი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 6 დეკემბერი 2018 წ.

N3889-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 11.11.2015, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.017921) 120-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს პრეზიდენტის ან საქართველოს პარლამენტის მიერ დანიშნული ან არჩეული საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული თანამდებობის პირის თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის წესი დგინდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო საქართველოს პარლამენტის წევრის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა დგინდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრების ფარგლებში.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 6 დეკემბერი 2018 წ.

N3890-**რს**

საქართველოს კანონი

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 29.12.2017, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.018717) მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„**მუხლი 18. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის თანამდებობრივი სარგო**

1. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის (გარდა საქართველოს პარლამენტის წევრისა) თანამდებობრივი სარგო დგინდება ამ კანონის №3 დანართის №3 ცხრილის მიხედვით დადგენილი შესაბამისი ზედა ზღვრის კოეფიციენტის ფარგლებში განსაზღვრული კოეფიციენტის საბაზო თანამდებობრივ სარგოზე ნამრავლით და აისახება შესაბამისი საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

2. საქართველოს პარლამენტის წევრის თანამდებობრივი სარგო დგინდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, ამ კანონის №3 დანართის №3 ცხრილის მიხედვით დადგენილი შესაბამისი ზედა ზღვრის კოეფიციენტის ფარგლებში.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 6 დეკემბერი 2018 წ.

N3891-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №22, 18.05.2005, მუხ. 151) 22^2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 22^2. **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული და განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების დამატებითი კონტროლის მექანიზმი**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით წარუდგენს დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელი არასაიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, აგრეთვე წელიწადში არანაკლებ ერთხელ წარუდგენს მოხსენებას სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით განხორციელებული და მიმდინარე არასაიდუმლო საქმიანობის შესახებ.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 6 დეკემბერი 2018 წ.

N3898-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04.06.2015, სარეგისტრაციო კოდი: 240140000.05.001.017771) მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ბიზნესომბუდსმენი წლიურ ანგარიშს კალენდარული წლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში წარუდგენს საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 6 დეკემბერი 2018 წ.

N3900-**რს**

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №29, 12.10.2009, მუხ. 159) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი 7 წლის ვადით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. 59-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეროვნული ბანკის ანგარიშგების აუდიტს ახორციელებს საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმა.

2. ეროვნული ბანკის ფინანსური ანგარიშგების გარე აუდიტის განსახორციელებლად საქართველოს პარლამენტი მსოფლიოს ოთხი ყველაზე მსხვილი აუდიტორული ფირმიდან არაუგვიანეს 1 ნოემბრისა აირჩევს ერთ აუდიტორულ ფირმას (გარე აუდიტორს) არანაკლებ 2 და არაუმეტეს 4 წლის ვადით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების დღის მომდევნო დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 6 დეკემბერი 2018 წ.

N3904-**რს**

საქართველოს კანონი

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.06.2016, სარეგისტრაციო კოდი: 430040000.05.001.018169) 28-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. 2019 წლის 1 აპრილიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე თითოეულმა მუნიციპალიტეტმა ამ კანონის შესაბამისად უზრუნველყოს დაწესებულებების ეტაპობრივი ავტორიზაცია.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 6 დეკემბერი 2018 წ.

N3910-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №587

2018 წლის 13 დეკემბერი, ქ. თბილისი

ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტის წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასა და იმპორტთან დაკავშირებული ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული – „ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტის წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასა და იმპორტთან დაკავშირებული ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის წესი“.

მუხლი 2

დადგენილება, გარდა ამ დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს 2021 წლის პირველი იანვრიდან.

მუხლი 3

დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2023 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტის წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასა და იმპორტთან დაკავშირებული ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის წესი

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. **ზოგადი დებულებები**

1. „ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტის წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასა და იმპორტთან დაკავშირებული ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის წესი“ (შემდგომში – წესი) ადგენს ცხოველთა ჯანმრთელობის ზოგად წესებს:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე;

ბ) ცხოველური წარმოშობის პროდუქტისა და მათგან მიღებული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქტების იმპორტზე.

2. ამ წესით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს ახორციელებენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – სამსახური), თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპები** – ყველა ეტაპი ცხოველური წარმოშობის სურსათის პირველადი წარმოებიდან შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციის ან საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდების ჩათვლით;

ბ) **სახელმწიფო ვეტერინარი**– ვეტერინარი, რომელიც დანიშნულია სააგენტოს მიერ;

გ) **ცხოველური წარმოშობის პროდუქტი** – ცხოველისაგან მიღებული პროდუქტი და ამ პროდუქტისაგან მიღებული ადამიანის მიერ მოხმარებისთვის განკუთვნილი პროდუქტი, მათ შორის, ცოცხალი ცხოველი, თუ ის გამიზნულია ასეთი გამოყენებისათვის.

2. ამ წესის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსითა და „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით განსაზღვრული ტერმინები, თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

თავი II

ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნები ცხოველური წარმოშობის პროდუქტის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე

მუხლი 3. ცხოველთა ჯანმრთელობის ზოგადი მოთხოვნები

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. სააგენტომ უნდა გაატაროს შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ სურსათის ბიზნესოპერატორმა არ გამოიწვიოს ცხოველზე გადამდები დაავადებების გავრცელება ამ წესით დადგენილი მოთხოვნების თანახმად ცხოველური წარმოშობის პროდუქტის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე.

2. ცხოველური წარმოშობის პროდუქტი მიღებული უნდა იქნეს ცხოველებისგან, რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებს.

3. ცხოველური წარმოშობის პროდუქტი მიღებული უნდა იქნეს ცხოველებისაგან, რომლებიც:

ა) არ არიან წარმოშობილი ცხოველებსა და პროდუქტებთან დაკავშირებით ცხოველთა ჯანმრთელობის შეზღუდვას დაქვემდებარებული სადგომიდან, საწარმოდან, ტერიტორიიდან ან ტერიტორიის ნაწილიდან, ამ წესის დანართ №1-ით – „ცხოველური წარმოშობის პროდუქტის ვაჭრობასთან დაკავშირებული დაავადებები და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კონტროლის ზომებით“ გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) ხორცისა და ხორცის პროდუქტების შემთხვევაში არ იყვნენ დაკლულნი საწარმოში, სადაც განთავსებული იყო ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი დაავადებით დაინფიცირებული ან დაინფიცირებაზე საეჭვო ცხოველები, ან ასეთი ცხოველების ტანხორცი ან მისი ნაწილები იმყოფებოდა დაკვლის ან წარმოების პროცესში, ვიდრე ასეთი ეჭვი აღმოიფხვრებოდა;

გ) აკვაკულტურის ცხოველებისა და მათი პროდუქტების შემთხვევაში, შეესაბამება „აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობასა და მის პროდუქტებთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და წყლის ცხოველის ზოგიერთი დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №594 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 4. გამონაკლისები

1. მიუხედავად ამ წესის მე-3 მუხლისა და დანართ №1-ით განსაზღვრული დაავადებათა კონტროლის ზომებისა, სააგენტოს შეუძლია, გასცეს ავტორიზაცია ცხოველური წარმოშობის პროდუქტის (რომელიც წარმოშობილია ცხოველთა ჯანმრთელობაზე შეზღუდვას დაქვემდებარებული ტერიტორიიდან ან ასეთი ტერიტორიის ნაწილიდან, მაგრამ არ არის წარმოშობილი დაინფიცირებული ან დაინფიცირებაზე საეჭვო სადგომიდან) წარმოებაზე, გადამუშავებასა და დისტრიბუციაზე, იმის გათვალისწინებით, რომ:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) სანამ ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დამუშავებას დაექვემდებარებოდა, პროდუქტის მოპოვება, ჰენდლინგი, ტრანსპორტირება და შენახვა განხორციელდა ცალკე ან სხვადასხვა დროს პროდუქტებისაგან, რომლებიც აკმაყოფილებდნენ ცხოველთა ჯანმრთელობის ყველა პირობას და სააგენტოს მიერ დამტკიცებულ ტრანსპორტირების პირობებს, ცხოველთა ჯანმრთელობის შეზღუდვებს დაქვემდებარებული ტერიტორიის გარეთ ტრანსპორტირებისას;

ბ) პროდუქტები, რომლებიც უნდა დაექვემდებაროს დამუშავებას, მკაფიოდ არის იდენტიფიცირებული;

გ) პროდუქტები დაექვემდებარა დამუშავებას ისე, რომ ცხოველთა ჯანმრთელობის არსებული პრობლემები აღმოიფხვრა;

დ) დამუშავებას დაექვემდებარა სააგენტოს მიერ ამ მიზნით აღიარებულ საწარმოში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების არსებობისას უნდა იქნეს გამოყენებული ამ წესის დანართ №2-ით („ხორცის ჯანმრთელობის სპეციალური ნიშანდება“) განსაზღვრული ჯანმრთელობის სპეციალური ნიშანდება და უნდა დაექვემდებაროს დანართ №3-ის („ხორცთან და რძესთან დაკავშირებული ცხოველთა ჯანმრთელობის ზოგიერთი რისკის აღმოფხვრა დამუშავებით“) პირველი ნაწილის შესაბამისად განსაზღვრულ დამუშავებას.

3. ზოგიერთ შემთხვევაში, სადაც ჯანმრთელობის პირობები იძლევა საშუალებას, ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს:

ა) შესაბამის სახეობებში დაავადებების სპეციფიკურ მახასიათებლებს;

ბ) გამოკვლევებს ან ზომებს, რომლებსაც ცხოველები უნდა დაექვემდებარონ.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გამოყენებისას მიღებული უნდა იქნეს ზომები, რათა ცხოველთა დაავადებისაგან დაცვის ხარისხი არ იქნეს შესუსტებული.

მუხლი 5. **ვეტერინარული სერტიფიკატები**

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ ადამიანის მიერ მოხმარებისათვის გამიზნული ცხოველური წარმოშობის პროდუქტები დაექვემდებაროს ვეტერინარულ სერტიფიცირებას:

ა) ნებისმიერი ზოონოზური დაავადების ან სხვა მიზეზის გამო, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობისთვის სერიოზული საფრთხე;

ბ) ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით დაწესებული გამონაკლისის შემთხვევაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სერტიფიცირებისას გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი:

ა) ვეტერინარული მოწმობის შესაბამისი ფორმები;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სერტიფიკატები.

თავი III

იმპორტი

მუხლი 6. **იმპორტის ზოგადი მოთხოვნები**

სააგენტომ უნდა მიიღოს ზომები, რომ ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების იმპორტი განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე ამ წესის I თავით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ან, თუ ექსპორტიორ ქვეყანაში მოქმედებს წესები, რომლებიც იძლევა ცხოველთა ჯანმრთელობის ეკვივალენტურ გარანტიებს.

მუხლი 7. **ქვეყანაში მოქმედ წესებთან შესაბამისობა**

1. ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სააგენტომ უნდა შექმნას სხვა ქვეყნების ან მისი რეგიონების (ტერიტორიების) სია, საიდანაც განსაზღვრული ცხოველური წარმოშობის პროდუქტის საქართველოში იმპორტი დასაშვებია. გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, სხვა ქვეყანა ან მისი ტერიტორია სიაში შეიტანება მხოლოდ სააგენტოს მიერ ამ ქვეყანაში ან მის ტერიტორიაზე ინსპექტირების ჩატარების შემდგომ და ინსპექტირების შედეგები ცხადყოფს, რომ კომპეტენტური ორგანო იძლევა შესაბამის გარანტიებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სიის შედგენისას ან განახლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

ა) ექსპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობას;

ბ) ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ორგანიზაციულ მოწყობასა და მისი შემოწმების (ინსპექტირების) განხორციელებასა და უფლებამოსილებას სხვა ქვეყანაში; ზედამხედველობას დაქვემდებარებულობასა და მათ ხელთ არსებულ საშუალებებს, მომსახურე პერსონალის ჩათვლით, კანონმდებლობის ეფექტურ გამოყენებას;

გ) ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებს, რომლებიც რეალურად გამოიყენება საქართველოსათვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტის წარმოებისთვის, ჰენდლინგისთვის, შენახვისა და დისტრიბუციისათვის;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) გარანტიებს, რომლებიც ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია გასცეს შესაბამისი ცხოველის ჯანმრთელობის პირობების შესაბამისობასთან ან ეკვივალენტურობასთან დაკავშირებით;

ე) პროდუქტის მარკეტინგის გამოცდილებას სხვა ქვეყნიდან და ჩატარებული იმპორტის კონტროლის შედეგებს;

ვ) ინსპექტირების და/ან აუდიტის შედეგებს, ჩატარებულს ექსპორტიორ ქვეყანაში, განსაკუთრებით, კომპეტენტური ორგანოს შეფასების შედეგებს ან, სადაც სააგენტო მოითხოვს ანგარიშს, წარმოდგენილს ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ, მათ მიერ ჩატარებული ინსპექტირებების შესახებ;

ზ) ექსპორტიორ ქვეყანაში მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის, სხვა შინაური და გარეული ცხოველების ჯანმრთელობის სტატუსს, განსაკუთრებით ცხოველის ეგზოტიკურ დაავადებებსა და ქვეყანაში ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის ასპექტებს, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ და ცხოველთა ჯანმრთელობას საქართველოში;

თ) ექსპორტიორი ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) კოდექსის შესაბამისად, შეტყობინებას დაქვემდებარებული ცხოველთა ინფექციური ან გადამდები დაავადებების დაფიქსირებისას, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციისთვის (OIE) ინფორმაციის მიწოდების რეგულარულობას, სიზუსტესა და სისწრაფეს;

ი) ცხოველთა ინფექციური ან გადამდები დაავადებების კონტროლისა და პრევენციის წესებს, რომლებიც ძალაშია ექსპორტიორ ქვეყანაში (მათ შორის, სხვა ქვეყნებიდან იმპორტთან დაკავშირებული წესები) და მათ განხორციელებას.

3. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ამ მუხლის შესაბამისად წარმოებული ან განახლებული სიის საჯარო ხელმისაწვდომობა. ამ მუხლის შესაბამისად წარმოებული სია შეიძლება კომბინირებული იქნეს სხვა სიებთან, ცხოველთა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიზნების გათვალისწინებით და, აგრეთვე, უნდა შეიცავდეს ჯანმრთელობის სერტიფიკატის ნიმუშებს.

4. თითოეული ქვეყნისთვის ან ქვეყნების ჯგუფისთვის იმპორტის სპეციალური პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე.

მუხლი 8. იმპორტისას ტვირთის თანმხლები დოკუმენტები

1. ვეტერინარული სერტიფიკატი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ცხოველური წარმოშობის პროდუქტის ტვირთს თან უნდა ახლდეს საქართველოში შემოსვლისას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ვეტერინარულმა სერტიფიკატმა უნდა დაადასტუროს, რომ პროდუქტი აკმაყოფილებს:

ა) ასეთი პროდუქტისათვის ამ წესის თანახმად და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებს ან ამ მოთხოვნების ეკვივალენტურ მოთხოვნებს;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ იმპორტის ნებისმიერ სპეციალურ პირობებს.

3. იმპორტისას ტვირთის თანმხლები დოკუმენტები შეიძლება შეიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საზოგადოებრივ და ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებთან დაკავშირებულ სხვა დეტალებს.

მუხლი 9. ინსპექტირება

1. სააგენტოს მიერ სხვა ქვეყნებში ინსპექტირება უნდა ჩატარდეს წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ყველა ეტაპზე იმ მიზნით, რომ შემოწმდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ცხოველთა ჯანმრთელობის წესებთან შესაბამისობა ან ეკვივალენტურობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირება სხვა ქვეყნებში უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

3. ინსპექტირების დროს, ცხოველის ჯანმრთელობის სერიოზული რისკის იდენტიფიცირებისას (კერძოდ, თუ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე თავს იჩენს ან გავრცელდება შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადება ან ზოონოზი ან სხვა დაავადება ან გარემოება ან მდგომარეობა, რომელსაც შეუძლია, მნიშვნელოვანი/სერიოზული საფრთხე შეუქმნას ცხოველის ან ადამიანის ჯანმრთელობას), სააგენტომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ცხოველთა ჯანმრთელობისათვის საჭირო დამცავი ზომები და, სიტუაციის სიმძიმის გათვალისწინებით, უნდა განახორციელოს ერთ-ერთი ქმედება:

ა) შეაჩეროს იმპორტი და საჭიროებისას ტრანზიტი სხვა ქვეყნიდან ან მისი ნაწილიდან;

ბ) დააწესოს სპეციალური პირობები/მოთხოვნები სხვა ქვეყნიდან ან მისი ნაწილიდან შემოსულ პროდუქტზე;

გ) ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, შეადგინოს მოთხოვნები შესაბამისი/სათანადო შემოწმებებისთვის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტზე, რომელიც შესაძლებელია მოიცავდეს ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების აღმოჩენას და, ამ შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, ფიზიკური შემოწმების სიხშირის გაზრდას.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემოწმება მიუთითებს, რომ ტვირთმა შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობას, სამსახური ვალდებულია, დაუყოვნებლივ:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) დააკავოს/შეაჩეროს ტვირთი და მიიღოს გადაწყვეტილება მისი უკან გაბრუნების/განადგურების შესახებ;

ბ) შეატყობინოს სხვა სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებს ტვირთის წარმოშობისა და აღმოჩენილი შედეგების შესახებ.

დანართი №1

ცხოველური წარმოშობის პროდუქტის ვაჭრობასთან დაკავშირებული დაავადებები და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კონტროლის ზომები

დაავადება	კანონმდებლობა
ღორის კლასიკური ჭირი	„ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილება
ღორის აფრიკული ჭირი (ცხელება)	„ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილება
თურქულის დაავადება	„ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილება
ფრინველის გრიპი	„ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილება
ნიუკასლის (ფრინველის ჭირი) დაავადება	„ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილება
მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ჭირი	oie-ის კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ლორის ვეზიკულარული დაავადება	oie-ის კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები
აკვაკულტურის დაავადებები	აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობასა და მის პროდუქტებთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და წყლის ცხოველის ზოგიერთი დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №594 დადგენილება; აკვაკულტურისა და მისი პროდუქტების ბაზარზე განთავსებისა და იმპორტის პირობების, სერტიფიცირების მოთხოვნებისა და ვეტერინარული სახეობების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის № 597 დადგენილება

დანართი №2

ხორცის ჯანმრთელობის სპეციალური ნიშანდება

1. ახალი ხორცის ჯანმრთელობის სპეციალური ნიშანდება მოიცავს დიაგონალურ ჯვარს, რომელიც შედგება ორი სწორი ხაზისაგან, რომლებიც კვეთენ ერთმანეთს ბეჭდის ცენტრში და საშუალებას იძლევა, რომ ინფორმაცია ადვილად იკითხებოდეს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტით განსაზღვრული ხორცის ჯანმრთელობის სპეციალური ნიშანდების ფორმა უნდა იყოს ოვალური, სიგანით 6,5 სმ და სიმაღლით 4,5 სმ და მოიცავდეს მკაფიო, ადვილად წასაკითხ შემდეგ ინფორმაციას:

ა) თუ პროდუქტი ნაწარმოებია საქართველოში, საიდენტიფიკაციო ნიშანი უნდა მოიცავდეს ISO 3361 სტანდარტის მიხედვით საქართველოს ორასოიან კოდს: - GE;

ბ) ბეჭდის ცენტრში იმ ბიზნესოპერატორის აღიარების ნომერს, რომელიც ახორციელებს ცხოველის დაკვლას.

3. ასოების ზომა უნდა იყოს არაუმცირეს 0,8 სმ-ის სიმაღლის, ხოლო რიცხვები არაუმცირეს 1 სმ-ის სიმაღლისა.

4. ხორცის ჯანმრთელობის სპეციალური ნიშანდება უნდა მოიცავდეს ვეტერინარის საიდენტიფიკაციო კოდს, რომელმაც შეამოწმა ხორცი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. ხორცის ჯანმრთელობის სპეციალური ნიშანდების დასმა უნდა მოხდეს იმ სახელმწიფო ვეტერინარის უშუალო ზედამხედველობით, რომელიც აკონტროლებს ცხოველთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მოთხოვნების განხორციელებას.

6. ჯანმრთელობის ნიშანზე გამოყენებული საღებავი არ უნდა შეიცავდეს ისეთ ნივთიერებას, რომელმაც შესაძლებელია, გავლენა მოახდინოს ახალი ხორცის უვნებლობაზე.

დანართი №3

ხორცთან და რძესთან დაკავშირებული ცხოველთა ჯანმრთელობის ზოგიერთი რისკის აღმოფხვრა დამუშავებით

ნაწილი 1. ხორცი

	დამუშავება (¹)	**დაავადებები**							
		თურქ-ულის და ვადება	ლორის კლას იკური ჭირი	ლორის ვეზი კულარული დაავადება	ლორის აფრიკული ჭირი (ცხელება)	მსხვილფეხა საქონლის ჭირი	ნიუკასლის (ფრინველის ჭირი) დაავადება	ფრინ-ველის გრიპი	წვრილ-ფეხა საქონ-ლის ჭირი
1.	თერმული (თბური) დამუშავება ჰერმეტულ კონტეინერში F₀ 3,00 ან მეტი (²)	+	+	+	+	+	+	+	+
2.	თერმული (თბური) დამუშავება არანაკლებ 70⁰ C ტემპერატურაზე, რომელიც მიღწეული უნდა იქნეს ხორცის მთელ მასაში	+	+	+	0	+	+	+	+

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3.	წინასწარ ტვალგამოცლილი და გაუცხიმოებული ხორცი ექვემდებარება ისეთ თერმულ (თბურ) დამუშავებას, რომ მიდა 70^{0}C ტემპერატურა შენარჩუნდეს, სულ მცირე, 30 წუთი	+	0	0	0	0	0	0	0
4.	თერმული (თბური) დამუშავება არანაკლებ 80^{0}C ტემპერატურაზე, რომელიც მიღწეული უნდა იქნეს ხორცის მთელ მასაში	+	+	+	+	+	+	+	+

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5.	თერმული (თბური) დამუშავება ჰერმეტულ კონტეინერში არანაკლებ 60°C ტემპერატურაზე, სულ მცირე, 4 საათი, რომლის დროსაც ხორცის შუაგულში 30 წუთის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 70° C	+	+	+	+	+	–	–	+
6.	უძვლო ხორცის ბუნებრივი ფერმენტაცია და მომწიფება არანაკლებ ცხრა თვის განმავლობაში, რომელსაც შედეგად შემდეგი მახასიათებლები აქვს: Aw - არა უმეტეს 0, 93; pH- არა უმეტეს 6, 0	+	+	+	+	+	0	0	0
7.	ძვლიანი ხორცის მე-6 პუნქტით განსაზღვრული დამუშავება (¹)	+	+	+	0	0	0	0	0

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

8.	სალიამი: არსებული საშეფნიერო მტკიცებულების შესაბამისი დამუშავება	+	+	+	0	+	0	0	0
9.	ღორის ბარკლისა (Ham) და ნელის ნაწილების (loins) დამუშავება, რომელიც მოიცავს ბუნებრივ ფერმენტაციას და მომწიფებას ბარკლისთვის არანაკლებ 190 დღე. ნელისთვის - 140 დღე.	0	0	0	+	0	0	0	0
10.	სითბური (თბური) დამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს 65°C ტემპერატურას ხორცის შუაგულში იმ დროისთვის, როცა პასტერიზაციის მნიშვნელობა ტოლია ან მეტი 40-ზე (Pv≥ 40)	+	0	0	0	0	0	0	+

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ნაწილი 2. ადამიანის მიერ მოხმარებისთვის გამიზნული რძე და რძის პროდუქტები (მათ შორის, ნაღები)

	დამუშავება (1)	დაავადებები							
		თურქულის და ვაფეხა	ლორის კლასიკური ჰირი	ლორის ვეზი კეთ ლარული და ავადება	ლორის აფრი კული ჰირი (ცხელ ლება)	მსხვილ ლუება საქონლის ჰირი	ნიუკას ლის (ფრინველის ჰირი) დაავადება	ფრინველის გრიპი	წვრილფეხა საქონლის ჰირი
1.	ულტრამასტერიზაცია (UHT) (მაღალ ტემპერატურაზე დამუშავება) - არანაკლებ 132°C ტემპერატურაზე ხულ მცირე 1 წამი	+	0	0	0	0	0	0	0
2.	თუ რძეს აქვს pH 7,0-ზე ნაკლები - მაღალი ტემპერატურა - HTST (ხანმოკლე პასტერიზაცია) დამუშავება	+	0	0	0	0	0	0	0
3.	თუ რძეს აქვს pH 7,0 ან მეტი - ორკერადი HTST (ხანმოკლე პასტერიზაცია) დამუშავება	+	0	0	0	0	0	0	0

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

+ – ეფექტურია; 0 – ეფექტურობა არ არის აღიარებული

(1) – ყველა საჭირო ზომა უნდა იქნეს მიღებული ჯვარედინი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად

(2) F – გამოთვლილი მომაკვდინებელი ეფექტი ბაქტერიების სპორებზე, F 3,00 – ყველაზე ცივი წერტილი საკმარისად გათბა, რათა მიღწეულ იქნეს იგივე მომაკვდინებელი ეფექტი, როგორც 121°C (250°F) ტემპერატურაზე სამ წუთში მომენტალური გაცხელებითა და გაგრილებით.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №589

2018 წლის 13 დეკემბერი, ქ. თბილისი

„ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/01/2011, 340170000.10.003.016170) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ დანართი №10-ის („საქართველოსათვის მცენარეთა საკარანტინო მავნე ორგანიზმების ნუსხა“) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 22-ე – 26-ე პუნქტები:

„22. Grapevine fanleaf virus (GFLV);

23. Arabis mosaic virus (ArMV);

24. Grapevine leafroll-associated virus 1 (GLRaV-1);

25. Grapevine leafroll-associated virus 3 (GLRaV-3);

26. Grapevine fleck virus (GFkV).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის პირველი მარტიდან.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №594

2018 წლის 13 დეკემბერი, ქ. თბილისი

„მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისა და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული/ დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალისათვის დანამატის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 14 ივნისის №264 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისა და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული/დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალისათვის დანამატის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 14 ივნისის №264 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/06/2016, 010110020.10.003.019329) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„**მუხლი** 2. დადგენილებით განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად:

1. დადგენილების დანართით განსაზღვრულმა სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ყოველთვიურად, თვის პირველ სამუშაო კვირაში მიაწოდონ განახლებული მონაცემები წინა თვის განმავლობაში მათ დაწესებულებაში დასაქმებული ექიმების, პარამედიკოსების, ექთნებისა და დაკონტრაქტებული/დასაქმებული სოფლის ექიმებისა და სოფლის ექთნების შესახებ, სააგენტოს მიერ განსაზღვრული ფორმატით.

2. სააგენტო ვალდებულია, უზრუნველყოს ამ დადგენილების დანართით განსაზღვრული სამედიცინო დაწესებულებებისა და ამ დაწესებულებებში დასაქმებული/დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალის (ექიმი, პარამედიკოსი, ექთანი) შესაბამისი რეესტრის წარმოება.“.

2. **დადგენილებით დამტკიცებული „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისა და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული/დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალისათვის დანამატის გაცემის წესისა და პირობების“:**

ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„გ.ა) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მაღალმთიან დასახლებაში განთავსებულ ფილიალებში მომუშავე სამედიცინო პერსონალზე (ექიმი, პარამედიკოსი, ექთანი);“;

ბ) მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სამინისტრო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;“;

გ) თავი III-ის („დანამატის მიღების უფლება, დანამატის ოდენობა და დანამატით უზრუნველყოფის პრინციპები ექიმისათვის/ექთნისათვის“) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი III

დანამატის მიღების უფლება, დანამატის ოდენობა და დანამატით უზრუნველყოფის პრინციპები ექიმისათვის/ექთნისათვის/პარამედიკოსისთვის“;

დ) მე-6 მუხლის:

დ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 6. დანამატის მიღების უფლება და დანამატის ოდენობა ექიმისათვის/ექთნისათვის/პარამედიკოსისთვის“;

დ.ბ) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ექიმს/სოფლის ექიმს/პარამედიკოსს;“;

ე) მე-8 მუხლის:

ე.ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სამედიცინო პერსონალზე (ექიმი/ექთანი/პარამედიკოსი) გაიცემა ერთი დანამატი, მიუხედავად მაღალმთიან დასახლებაში მდებარე რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში ან რამდენიმე საშტატო ერთეულზე მისი დასაქმებისა.

2. თუ ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სამედიცინო პერსონალი (ექიმი/ექთანი/პარამედიკოსი) ამავდროულად წარმოადგენს ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირს, დანამატი გაიცემა მე-6 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტების შესაბამისად.“;

ე.ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„5. ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ბ“ და „გ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულმა სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა, საშტატო ერთეულის გაზრდის შემთხვევაში, რასაც მოჰყვება ამ დადგენილებით განსაზღვრული დანამატის გაზრდა, წარუდგინონ დასაბუთებული პოზიცია საშტატო ერთეულის გაზრდის თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.“;

ვ) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სამედიცინო პერსონალს (ექიმი/ექთანი/პარამედიკოსი) ზედმეტად ჩაერიცხა დანამატი, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას ამ თანხების უკან დაბრუნების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №597

2018 წლის 13 დეკემბერი, ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/01/2014, 300160070.10.003.017677) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„3. ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მისაღებად მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანო, დადგენილი წესით, სხვა საბუთებთან ერთად აგზავნის მოთხოვნას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, რომელიც სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისთვის განსაზღვრული წესით იღებს გადაწყვეტილებას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების შესახებ და უგზავნის მას მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №598

2018 წლის 13 დეკემბერი, ქ. თბილისი

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში (სსმ, III ნაწილი, 2009 წელი, მუხლი 430) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„9. განაშენიანებული ტერიტორია – დასახლების ტერიტორიის ნაწილი, რომელიც შესაძლებელია, მოიცავდეს „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით განსაზღვრულ ნებისმიერ ზონას, გარდა გარემოს დამცავი, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო ზონა 2-სა და სამხედრო დანიშნულების ზონა 2-ს.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. **მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. სამშენებლო მიწის ნაკვეთის, რომელზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობები, დაყოფის შემთხვევაში, დაყოფა უნდა მოხდეს ისე, რომ დაცული იყოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის – „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ V თავით – „მიწის ნაკვეთ(ებ)ზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები, მათი მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა და მათი ნაწილების საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში შეჭრა“ განსაზღვრული მოთხოვნები.“.

3. **29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 29. მშენებლობის ნებართვის გაცემის სფეროში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კომპეტენცია

მშენებლობის ნებართვის სფეროში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კომპეტენციაა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში (გარდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლებისა) მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა მიიღოს, როგორც სხვა ადმინისტრაციულმა ორგანომ.“.

4. **31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ე) გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ცალკეული მიწის ნაკვეთების გამოყენებისა და განაშენიანების პირობების განსაზღვრას დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესაბამისად;“.

5. **32-ე მუხლის პირველი პუნქტის**:

ა) **„ბ“ – „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ბ) გუდაურის, ბაკურიანის, ბახმაროსა და ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიებისათვის, ასევე ქ. ბორჯომის ტერიტორიაზე განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებისათვის – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

გ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში (გარდა ქალაქ თბილისის ტერიტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლებისა) – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში (გარდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლებისა) – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭო, რომლის შემადგენლობა მტკიცდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) „ზ[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ[1]) სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისათვის მიკუთვნებულ ობიექტებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური;“;

გ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) გრუნტის ზედაპირიდან ან შენობა-ნაგებობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფუძიდან არანაკლებ 25 მეტრის სიღრმეზე გვირაბის (მათ შორის, ჰიდროელექტროსადგურის სადერივაციო გვირაბის) ან სხვა მიწისქვეშა ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე ისეთი შენობა-ნაგებობებისათვის, რომლებიც უკავშირდება საქართველოს ერთიან ენერგეტიკულ სისტემას, ან/და რომლებიც უშუალოდ გამოიყენება ელექტროენერგიის წარმოებისათვის, მათ შორის, იმ ენერგეტიკული ობიექტებისათვის, რომელთა განთავსებაც გათვალისწინებულია შემდეგ მდინარეებზე: ენგური, რიონი, ყვირილა, მტკვარი, ხრამი, თერგი, ქსანი, არაგვი, სუფსა, ბახვისწყალი, ხობისწყალი, ტეხური, ცხენისწყალი, ძირულა, ნენსკრა, კინტრიში, ჯეჯორა, ყანისწყალი, გუბაზეული, ფარავანი, სტორი, ნაკრა, ხელედულა, ჯანაული, საკაურა, ჩაქვისწყალი, წაბლარისწყალი, სამყურის წყალი, მაგანა და პირიქითა ალაზანი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;“.

6. 43-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული მიწის ნაკვეთი არ ხვდება დასახლებათა ტერიტორიების მიწათსარგებლობის კონკრეტული უფლებრივი ზონირების დოკუმენტების საზღვრებში, მაშინ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების პროექტი უნდა დაეყრდნოს „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების მოთხოვნებს.“.

7. 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) გარდამავალ პერიოდში, როდესაც კონკრეტული მიწის ნაკვეთ(ებ)ი არ ხვდება დასახლებათა ტერიტორიების მიწათსარგებლობის კონკრეტული უფლებრივი ზონირების დოკუმენტების საზღვრებში, მაშინ საჭიროა დამატებით მიწის ნაკვეთ(ებ)ისათვის მიწათსარგებლობის კონკრეტული უფლებრივი ზონირების განხორციელების გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ცალკეული მიწის ნაკვეთ(ებ)ის გამოყენებისა და განაშენიანების პირობების განსაზღვრა (შედგენილი დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესაბამისად).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №599

2018 წლის 13 დეკემბერი, ქ. თბილისი

„თავისუფალი ინდუსტრიული ზონისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემის გამარტივებული წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 10 მარტის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თავისუფალი ინდუსტრიული ზონისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემის გამარტივებული წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 10 მარტის №54 დადგენილებაში (სსმ III, 2008 წელი, №39, მუხლი 431) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისათვის ადმინისტრატორი შეიმუშავებს და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს განაშენიანების რეგულირების გეგმას. ამდენად, ქალაქთმშენებლობითი პირობების მიღებისათვის განაცხადის წარდგენა აუცილებელი არ არის.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №607

2018 წლის 18 დეკემბერი, ქ. თბილისი

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №601 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №601 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2017, 280120000.10.003.020311) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის:

1. 1.6 **დანართის (დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა) მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-12 მუხლებით განსაზღვრული პირები;“.

2. 1.6.1 **დანართის (სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტი):**

ა) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-12 მუხლებით განსაზღვრული პირები რეგისტრირებულნი უნდა იყვნენ სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საინფორმაციო ბაზაში.“;

ბ) მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.გ) „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-12 მუხლებით განსაზღვრული პირები;“.

3. 1.6.2 **დანართის (საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი):**

ა) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-12 მუხლებით განსაზღვრული პირები რეგისტრირებულნი უნდა იყვნენ სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საინფორმაციო ბაზაში.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.გ) „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-12 მუხლებით განსაზღვრული პირები;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-55/ნ

2018 წლის 11 დეკემბერი, ქ. თბილისი

„ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 9 იანვრის N01-1/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 9 იანვრის N01-1/ნ ბრძანებაში (www. matsne.ge; 10/01/2018; 470010000.22.035.016484) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„მუხლი 3

ბრძანება, გარდა პილოტური პროექტის განმახორციელებელი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის, ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან, ხოლო პილოტური პროექტის განმახორციელებელი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის ამოქმედდეს 2018 წლის 1 თებერვლიდან.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

ცხოვრებაში არსებობს ორი ძირითადი არჩევანი: შეეგუო არსებულ პირობებს, ან აიღო მათი შეცვლის პასუხისმგებლობა.

დენის უეიტლი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-56/ნ

2018 წლის 12 დეკემბერი, ქ. თბილისი

,,ფარმაცევტულ, სამედიცინო, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში, აგრეთვე, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო-დიაგნოსტიკური და საკონტროლო-ანალიზური (ლაბორატორიული) საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 ივლისის №150/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

,,ფარმაცევტულ, სამედიცინო, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში, აგრეთვე, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო-დიაგნოსტიკური და საკონტროლო-ანალიზური (ლაბორატორიული) საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 ივლისის №150/ნ ბრძანებაში (სსმ, 78, 31/07/2003) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (ფარმაცევტულ საბითუმო ბაზაში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და რეალიზაციის წესი):**

ა) მე-3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომ ტექსტსა და დანართებში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – წამლის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიაწოდოს ინფორმაცია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ლეგალური ბრუნვის შესახებ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდგომ ტექსტსა და დანართებში - მინისტრი) შესაბამისი ბრძანებით დადგენილი წესით.'';

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. ბაზაში ფსიქოტროპული ნივთიერებები, პრეკურსორები (მხოლოდ სუბსტანციების სახით) და ნარკოტიკული საშუალებები ინახება სპეციალურად გამოყოფილ უფანჯრო ოთახში (ოთახებში), ცეცხლგამძლე სეიფში (სეიფებში); ოთახს უნდა ჰქონდეს კაპიტალური კედლები, რკინის კარები და გააჩნდეს ადგილობრივი შუქხმოვანი და პოლიციასთან დაკავშირებული სიგნალიზაციები; ბაზა, სადაც ინახება ამ პუნქტით გათვალისწინებული ნივთიერებები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეიარაღებული დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ ბაზა ვერ უზრუნველყოფს ამ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, ნარკოტიკული საშუალებების შენახვა და გაცემა დასაშვებია განხორციელდეს დადგენილი საცავიდან მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში, რაზეც ფორმდება შესაბამისი დოკუმენტი. აღნიშნულ საცავში ნარკოტიკული საშუალებების მიღების, შეძენის, აღრიცხვის, გაცემისა და რეალიზაციის წესი შეესაბამება ბაზიდან ნარკოტიკული საშუალებების მიღების, შეძენის, აღრიცხვის, გაცემისა და რეალიზაციის წესს.‘‘.

2. ბრძანებით დამტკიცებული №2 დანართის (აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების, გაცემისა და რეალიზაციის წესი):

ა) მე-4 პუნქტის ,,გ‘‘ და ,,დ‘‘ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) ნარკოტიკული საშუალების ყოველი გაცემისას ფიზიკურ პირზე გასცეს აღნიშნულის დამადასტურებელი საბუთი მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული ფორმით;

დ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ლეგალური ბრუნვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დადგენილი წესით.‘‘;

ბ) მე-5 პუნქტის ,,დ‘‘ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) სიმპტომურ მკურნალობაზე მყოფ ონკოინკურაბელური და სომატური ავადმყოფებისათვის ნარკოტიკული საშუალებების არატერიტორიული პრინციპით გაცემა (რეალიზაცია) სამინისტროს თანხმობის გარეშე.‘‘.

3. ბრძანებით დამტკიცებული №3 დანართის (ფარმაცევტულ საწარმოში ფსიქოტროპული ნივთიერებების წარმოების, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გამოყენებისა და გაცემის წესი) მე-3 პუნქტის:

ა) ,,გ‘‘ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) ნარკოტიკული საშუალებების შემცველი იმ კომბინირებული პრეპარატების წარმოებისას, რომლებიც არ მიეკუთვნება ნარკოტიკულ საშუალებათა ჩამონათვალს, უზრუნველყოს, რათა მათ შემადგენლობაში შემავალი ნარკოტიკული საშუალებების ოდენობა შეესაბამებოდეს სამინისტროს მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობას.‘‘;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) ,,ვ'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ვ) მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული წესით მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ლეგალური ბრუნვის შესახებ.''.

4. ბრძანებით დამტკიცებული №6 დანართის (სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო-დიაგნოსტიკური და საკონტროლო-ანალიზური (ლაბორატორიული) საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების წესი) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,9. დაწესებულების მიერ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საანალიზოდ აღების დროს დგება მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული სამკურნალო საშუალების სინჯის აღების აქტი.''.

5. ბრძანებით დამტკიცებული №7 დანართის (ფარმაცევტულ, სამედიცინო, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში, აგრეთვე, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო-დიაგნოსტიკური და საკონტროლო-ანალიზური (ლაბორატორიული) საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებებში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამოწერისა და განადგურების წესი) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ცენტრალიზებული წესით შეძენილი ან/და ჰუმანიტარული გზით მიღებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამოწერა-განადგურებაზე სავალდებულოა სამინისტროს თანხმობა.

6. ბრძანებით დამტკიცებული №23 დანართის (ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჩანაცვლებითი მკურნალობის მიმწოდებელ დაწესებულებაში ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალების მიღების, შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და განადგურების წესი):

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აღნიშნული დანართი არეგულირებს მხოლოდ იმ ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალების (ფარმაცევტული პროდუქტის) (შემდგომში – სამკურნალო საშუალება) მიღების, შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და განადგურების წესს, რომელიც გამოიყენება ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჩანაცვლებითი მკურნალობისას. ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჩანაცვლებითი მკურნალობისას სამკურნალო საშუალებების ნუსხას ამტკიცებს მინისტრი.'';

ბ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„10. სამარაგოში განთავსებული სამკურნალო საშუალებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს ამ ბრძანების №24 დანართით გათვალისწინებული ფორმის, ზონარგაყრილ, დანომრილ და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წამლის სააგენტოს ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალში.‘‘.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-57/ნ

2018 წლის 12 დეკემბერი, ქ. თბილისი

„სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების ნუსხისა და მათი ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ‘‘ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 22 იანვრის №22/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების ნუსხისა და მათი ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ‘‘ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 22 იანვრის №22/ნ ბრძანებაში (სსმ III, №12, 04/02/2004) შეტანილ იქნეს ცვლილება და №2 დანართის (სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების ლეგალური ბრუნვის წესები):

1. მე-2 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„2. სამკურნალო საშუალებების იმპორტი და ექსპორტი ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წამლის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ გაცემული წინასწარი შეთანხმების დოკუმენტისა და ამავე სააგენტოს ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული სანებართვო მოწმობის საფუძველზე.‘‘.

2. მე-7 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„7. სამკურნალო საშუალებების გამოწერა ხორციელდება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული არანარკოტიკული სამკურნალო საშუალებების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის“ ფორმა №2 რეცეპტის ბლანკზე. ავადმყოფის ამბულატორიულ ბარათში სათანადო ჩანაწერით ფიქსირდება ფორმა №2 რეცეპტის ბლანკის ნომერი და წამლის დანიშვნის დასაბუთება.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-59/ნ

2018 წლის 12 დეკემბერი, ქ. თბილისი

,,ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №01-32/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

,,ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №01-32/ნ ბრძანებაში (ვებგვერდი, 110615003, 15/06/2011, 470230000.22.035.016081) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესი) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. ფიზიკური პირის მიერ ინდივიდუალური საჭიროებისათვის შემენილი ნარკოტიკული საშუალებების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოდან გატანისათვის საქართველოს საგადასახადო ორგანოებს საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარედგინება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წამლის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ გაცემული, ამ ბრძანების №2 დანართით გათვალისწინებული დოკუმენტი.''.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და

შინაგან საქმეთა მინისტრის

ერთობლივი ბრძანება №01-62/ნ-№137

2018 წლის 14 დეკემბერი, ქ. თბილისი

,,სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ცალკეულ ნივთიერებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება საერთაშორისო კონტროლს და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებულ ცალკეულ სამკურნალო საშუალებებზე ქვეყნის შიდა კვოტების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 28-27 მარტის №01-14/ნ-N117 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებთ**:

მუხლი 1

,,სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ცალკეულ ნივთიერებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება საერთაშორისო კონტროლს და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებულ ცალკეულ სამკურნალო საშუალებებზე ქვეყნის შიდა კვოტების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 28-27 მარტის №01-14/ნ-N117 ერთობლივ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 29/03/2016; 470230000.22.035.016383) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ცალკეულ ნივთიერებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება საერთაშორისო კონტროლს და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებულ ცალკეულ სამკურნალო საშუალებებზე ქვეყნის შიდა კვოტები):

1. **პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

,,2. ქვეყნის შიდა კვოტა/კვოტები დგინდება საბჭოს დასკვნის საფუძველზე და მტკიცდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი აქტით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებაში მიეთითება ფარმაცევტული პროდუქტის გენერიკული დასახელება და შესაბამისი წლისათვის კვოტით დადგენილი რაოდენობა.“.

2. მე-2 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ფარმაცევტულ პროდუქტზე საჭიროების შემთხვევაში ქვეყნის შიდა კვოტის განსაზღვრის მიზანშეწონილობის თაობაზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით იქმნება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სათათბირო ორგანო - საბჭო.“;

ბ) მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, საბჭოს თანათავმჯდომარე;

გ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

ე) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – წამლის სააგენტოს წარმომადგენ(ლები)ელი, საბჭოს წევრ(ებ)ი;

ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენ(ლებ)ელი, საბჭოს წევრ(ებ)ი;

ზ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის წარმომადგენ(ლები)ელი, საბჭოს წევრ(ებ)ი;

თ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენ(ლები)ელი, საბჭოს წევრ(ებ)ი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ი) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენ(ლები)ელი, საბჭოს წევრ(ებ)ი;

კ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენ(ლები)ელი, საბჭოს წევრ(ებ)ი.

4. საბჭოს პერსონალური შემადგენლობაც მტკიცდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

3. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) ისმენს კომპეტენტური ეროვნული ორგანოს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წამლის სააგენტოს მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ცალკეული ნივთიერებებისა ან/და მასთან გათანაბრებული ცალკეული სამკურნალო საშუალებების მოხმარების (ხარჯვის) და შესაბამისი კალენდარული წლისათვის რეალურად საჭირო სავარაუდო ოდენობების შესახებ;

გ) განიხილავს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ცალკეული ნივთიერებებისა ან/და მასთან გათანაბრებულ ცალკეულ სამკურნალო საშუალებებზე ქვეყნის შიდა კვოტ(ებ)ის შემოღების (დადგენის) საჭიროების საკითხს; შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს და წარუდგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრებს;“.

4. მე-4 მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას და საბჭოს სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. საბჭოს სხდომები, როგორც წესი, იმართება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი

გიორგი გახარია

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №271/04

2018 წლის 14 დეკემბერი, ქ. თბილისი

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის №58/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის №58/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 05/04/2018; ს/კ: 220090000.18.011.016292) დამტკიცებული წესის:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ო.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო.ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (პირადობის მოწმობის ან პასპორტის დადასტურებული დოკუმენტის ასლი), ხოლო დირექტორებისთვის ასევე ინფორმაცია საქართველოს მოქალაქეობის ან საქართველოს რეზიდენტობის შესახებ, ყოველწლიურად არაუგვიანეს 15 ივნისისა;“;

ბ) „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) სათავო ოფისსა და მის ფილიალში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან დაცვის საგანგაშო ღილაკის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, საგანგაშო ღილაკის დამონტაჟების შეუძლებლობის შემთხვევაში – შესაბამისი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.“.

2. მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საფირმო სახელწოდების, სამართლებრივი ფორმის, ფაქტობრივი ან/და იურიდიული მისამართის ცვლილებების, ფილიალის გახსნის ან დახურვის შემთხვევაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია ამ ცვლილების/ქმედების განხორციელებიდან ხუთი კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობოს ეროვნულ ბანკს. ასევე, სათავო ოფისის ფაქტობრივი მისამართის ცვლილებისა და ფილიალის გახსნის შემთხვევაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია ცვლილების განხორციელებიდან ხუთი კალენდარული დღის ვადაში ეროვნულ ბანკში წარმოადგინოს გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების აქტის ასლი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან დაცვის საგანგაშო ღილაკის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულების ასლი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №272/04

2018 წლის 14 დეკემბერი, ქ. თბილისი

„ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის 37/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის 37/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 28/02/2018; ს/კ: 220090000.18.011.016282) დამტკიცებული წესის:

1. **პირველი მუხლის**:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შემდეგ მეწარმე სუბიექტი ვალდებულია პუნქტში/ფილიალში განახორციელოს მხოლოდ ნაღდი ფულის გადაცვლის ოპერაციები, როგორც საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა გარდა კომერციული ბანკისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, სესხის გამცემი სუბიექტისა, ამ მუხლის 2^1 პუნქტის საფუძველზე და ამ წესით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ეროვნულ ბანკში სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრაციის შემთხვევაში უფლებამოსილია განახორციელოს სესხების გაცემა/ამოღებასთან და მასთან დაკავშირებული საქმიანობა ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის“ მოთხოვნების დაცვით;“.

2. **მე-3 მუხლის**:

ა) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები:

„თ) ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საოპერაციო ფართის აზომვითი ნახაზი;

ი) ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საოპერაციო ფართის ინტერიერისა და ექსტერიერის ამსახველი ფოტო-მასალა.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 პუნქტი:

7^1. ამ წესის პირველი მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამისად ვალუტის გადამცვლელ პუნქტს/ფილიალს თავისსავე საოპერაციო ფართში სესხების გაცემა/ამოღებასთან და მასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისათვის არ მოეთხოვება ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის“ მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება.“.

3. მე-6 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პუნქტის განცხადებას უნდა ერთოდეს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“, „ვ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.“

ბ) მე-13 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 პუნქტი:

„14. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი ამ მუხლის მე-4 პუნქტში გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე უარს განაცხადებს პუნქტისათვის ფილიალის/ფილიალების საქმიანობის ნებართვის მიღებაზე, ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ პირს.“.

4. მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

5^1. პუნქტი/ფილიალი ვალდებულია ვალუტის გადაცვლის ოპერაციების აღსარიცხავად სპეციალური საოპერაციო პროგრამა იქონიოს „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესით“ განსაზღვრული სპეციალური ელექტრონული პროგრამისაგან და საოპერაციო პროგრამისაგან დამოუკიდებლად.“.

5. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. 2019 წლის პირველი იანვრიდან, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ერთი და იმავე საიდენტიფიკაციო კოდისა და სხვადასხვა სარეგისტრაციო ნომრის მქონე მეწარმე სუბიექტების ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს, არსებული სარეგისტრაციო ნომრებიდან მიენიჭებათ ერთ-ერთი (მათივე განცხადების შესაბამისად), ხოლო სხვა სარეგისტრაციო ნომრები გაუქმდება და აღნიშნულ მისამართებზე მეწარმე სუბიექტებს, ფილიალის/ფილიალების სტატუსით მიეცემათ ნებართვა განახორციელონ ვალუტის გადაცვლის ოპერაციები.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №273/04

2018 წლის 14 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 29/08/2018, ს/კ: 220020000.18.011.016334) დამტკიცებული წესის მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. სესხის გამცემი სუბიექტი უფლებამოსილია არ მიაწოდოს ბიუროს პირის შესახებ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელ ფიზიკურ პირზე გაიცემა 3 000 (სამი ათასი) ლარამდე მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი და ამავდროულად, სესხის გამცემი სუბიექტის მოთხოვნა მსესხებელი ფიზიკური პირის მიმართ დაკმაყოფილებულად ითვლება მხოლოდ უზრუნველყოფის საგნის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციით ან/და დასაკუთრებით) განხორციელებით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

situaciuri saxelmZRvaneloebi / manualebi

საწარმოს კაპიტალში შეტანილი პროცენტის გადახდის წყაროსთან დაბეგვრა №2422

ფაქტობრივი გარემოებები

2013 წელს საწარმომ განახორციელა 10 000 ლარის პროცენტის გადახდა. პროცენტის მიმღებმა მიღებული პროცენტები შეიტანა პროცენტის გამცემი საწარმოს კაპიტალში. პროცენტის გამცემმა საწარმომ არ გაითვალისწინა სსკ-ის 309-ე მუხლის 31-33 ნაწილებით დადგენილი ნორმები და გადახდილი პროცენტი გადახდის წყაროსთან დაიბეგრა 5% –იანი განაკვეთით.

შეფასება

სსკ-ის მე-60 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, ისარგებლოს საგადასახადო შეღავათით შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის წარმოშობის მომენტიდან მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

სსკ-ის 309-ე მუხლის 31-33 ნაწილების თანახმად, 2014 წლის 1 იანვრამდე ამ კოდექსის 131-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადახდილი პროცენტი დაიბეგრება გადახდის წყაროსთან 0-პროცენტიანი განაკვეთით, თუ კმაყოფილდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

ა) პროცენტის მიმღებ საწარმოს პროცენტის თანხა შეაქვს პროცენტის გამცემი საწარმოს კაპიტალში;

ბ) ამ კოდექსის 131-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადახდილი პროცენტის გადახდის წყაროსთან 5-პროცენტიანი განაკვეთით დაბეგვრის მოქმედების პერიოდში არ შემცირდება პროცენტის გამცემი საწარმოს კაპიტალი.

ამ მუხლის 31 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კაპიტალის შემცირებისთვის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში კაპიტალში შეტანილი პროცენტი ექვემდებარება დაბეგვრას მისი კაპიტალში შეტანის მომენტისთვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ამ მუხლის 31 ნაწილის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად.

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს კაპიტალის შემცირება შესაძლებელია განხორციელდეს (მოსალოდნელია) მომავალში, პირი უფლებამოსილია, არ გაითვალისწინოს სსკ-ის 309-ე მუხლის 31-33 ნაწილებით დადგენილი ნორმები და გადახდილი პროცენტი გადახდის წყაროსთან დაბეგროს 5% –იანი განაკვეთით.

ღონისძიებები

პირის ქმედებაში სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებით საგადასახადო ვალდებულებების დაკისრება არ განხორციელდება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია

„საწარმოს კაპიტალში შეტანილი პროცენტის გადახდის წყაროსთან დაბეგვრა“ №2422 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს მიღებული პროცენტის საწარმოს კაპიტალში შეტანისას პროცენტის გამცემი საწარმოს მიერ სსკ-ის 309-ე მუხლის 3^1-3^2 ნაწილებით დადგენილი ნორმების გამოყენების ვალდებულების შემთხვევას.

სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, საწარმომ 2013 წელს განახორციელა 10000 ლარის პროცენტის გადახდა. პროცენტის მიმღებმა მიღებული პროცენტები შეიტანა პროცენტის გამცემი საწარმოს კაპიტალში. პროცენტის გამცემმა საწარმომ არ გაითვალისწინა სსკ-ის 309-ე მუხლის 3^1-3^2 ნაწილებით დადგენილი ნორმები და გადახდილი პროცენტი გადახდის წყაროსთან დაიბეგრა 5%-იანი განაკვეთით.

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს კაპიტალის შემცირება შესაძლებელია განხორციელდეს (მოსალოდნელია) მომავალში, პირი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს სსკ-ის 309-ე მუხლის 31-32 ნაწილებით დადგენილი ნორმები და გადახდილი პროცენტი გადახდის წყაროსთან დაბეგროს 5%-იანი განაკვეთით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ინვენტარიზაციის დროს აღმოჩენილი დანაკლისის დაბეგვრის პერიოდის განსაზღვრა №1727

ფაქტობრივი გარემოებები

გადასახადის გადამხდელთან 2016 წლის თებერვლის თვეში დაიწყო სმფ-ების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაცია დასრულდა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ ოქმი შედგა 2016 წლის 15 მარტს, რომელსაც ხელი მოაწერა როგორც გადასახადის გადამხდელმა, ასევე საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირმა.

ამავე თარიღში შედგა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, რომლითაც გადასახადის გადამხდელი დაჯარიმდა ინვენტარიზაციისას აღმოჩენილი დანაკლისის (საბაზრო ღირებულებით 50 000 ლარი) 10%-ის ოდენობით.

გადასახადის გადამხდელს 2016 წლის მარტის თვის საანგარიშო პერიოდში არ მოუხდენია ინვენტარიზაციით გამოვლენილი დანაკლისის მინოდებად აღიარება და დაბეგვრა დღგ-ით. გადასახადის გადამხდელთან 2016 წლის მაისის თვეში დაინიშნა საგადასახადო შემოწმება 01.01.2012-01.05.2016 წ.წ საანგარიშო პერიოდზე.

I ვარიანტი

გადასახადის გადამხდელს 2016 წლის მარტის თვეში ჩაბარდა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი.

II ვარიანტი

გადასახადის გადამხდელს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი არ ჩაბარებია.

შეფასება

სსკ-ის 286-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, გადასახადის გადამხდელთან ამ კოდექსით გათვალისწინებული დანაკლისის გამოვლენა ითვლება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განთავსებულ მინოდებად. ამასთანავე, თუ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების დანაკლისი საგადასახადო ორგანოს მიერ ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, პირი დამატებით ჯარიმდება ამ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

ამასთან, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით დამტკიცებული წესის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობა ფორმდება შემაჯამებელი ოქმით, რომელშიც აისახება ინვენტარიზაციის შედეგები. სმფ-ების საალრიცხვო დოკუმენტებში აღრიცხული და ფაქტობრივი აღრიცხვის მონაცემების შედარების შედეგად, საინვენტარიზაციო კომისია ადგენს ოქმს „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ". ხოლო ამავე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ოქმებზე ხელს აწერენ პროცედურების განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი და გადასახადის გადამხდელი ან მისი წარმომადგენელი, ინვენტარიზაციაში მონაწილე პირები, აგრეთვე მოწვეული სპეციალისტი (თუ მონაწილეობს ზემოაღნიშნულ პროცედურებში).

ორივე ვარიანტში:

იმის გათვალისწინებით, რომ ინვენტარიზაცია დასრულდა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ ოქმი შედგენილია 15 მარტს, პირი ვალდებული იყო აღმოჩენილი დანაკლისი მინოდებად განეხილა 2016 წლის მარტის თვეში (დანაკლისის გამოვლენისას) და ჩაერთო მარტის თვის დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვაში, მიუხედავად იმისა, ჩაბარა თუ არა გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი.

დონისძიებები

ორივე ვარიანტში:

პირს დაერიცხება ძირითადი გადასახადი და ჯარიმა დეკლარაციაში გადასახდელი თანხის შემცირებისათვის, სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია

„ინვენტარიზაციის დროს აღმოჩენილი დანაკლისის დაბეგვრის პერიოდის განსაზღვრა“ №1727

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს ინვენტარიზაციის დროს აღმოჩენილი დანაკლისის დაბეგვრის პერიოდის განსაზღვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, გადასახადის გადამხდელთან 2016 წლის თებერვლის თვეში დაიწყო სმფ-ების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაცია დასრულდა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ ოქმი შედგა 2016 წლის 15 მარტს, რომელსაც ხელი მოაწერა როგორც გადასახადის გადამხდელმა, ასევე საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირმა. ამავე თარიღში შედგა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, რომლითაც გადასახადის გადამხდელი დაჯარიმდა ინვენტარიზაციისას აღმოჩენილი დანაკლისის (საბაზრო ღირებულებით 50 000 ლარი) 10%-ის ოდენობით.

გადასახადის გადამხდელს 2016 წლის მარტის თვის საანგარიშო პერიოდში არ მოუხდენია ინვენტარიზაციით გამოვლენილი დანაკლისის მიწოდებად აღიარება და დაბეგვრა დღგ-ით. გადასახადის გადამხდელთან 2016 წლის მაისის თვეში დაინიშნა საგადასახადო შემოწმება 01.01.2012-01.05.2016 წ.წ საანგარიშო პერიოდზე.

სიტუაციურ სახელმძღვანელოში განხილულ პირველ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს 2016 წლის მარტის თვეში ჩაბარდა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი. ხოლო მეორე შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი არ ჩაბარებია.

ორივე შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ ინვენტარიზაცია დასრულდა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ ოქმი შედგენილია 15 მარტს, პირი ვალდებული იყო აღმოჩენილი დანაკლისი მიწოდებად განეხილა 2016 წლის მარტის თვეში (დანაკლისის გამოვლენისას) და ჩაერთო მარტის თვის დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვაში, მიუხედავად იმისა, ჩაიბარა თუ არა გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com